

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საერთო კრების ოქმი N 1

საერთო კრების გამართვის ადგილი და თარიღი : საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი უდაბნო - რიტუალების სახლი, 2017 წლის 09 მაისი.

გამართა სოფელ უდაბნოს საერთო კრება, აღნიშნულ დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა (საერთო კრების წევრთა) საერთო რაოდენობა შეადგენს 568 ამომრჩეველს, კრებას ესწრება 131 ამომრჩეველი, ე.ი. საერთო კრების წევრთა 23%.

საერთო კრების თავმჯდომარედ კანონმდებლობით განისაზღვრა - ივდით პირველი, პ.ნ 36001041507.

საერთო კრების მდივნად არჩეულია/კანონმდებლობით განისაზღვრა - ხვიჩა გვიდანი, პ.ნ 36001050592.

1. საკითხი: საერთო კრების რჩეულის არჩევა;

- საკითხის ინიციატორი (სახელი, გვარი, პირადი N, მისი სტატუსი) ნატო გულბანი, ნ.პ 36001028915, სოფელ უდაბნოს რეგისტრირებული ამომრჩეველი.
- საკითხის ინიციატორმა საერთო კრებას გააცნო შემდეგი მოსაზრებები : ქალბატონმა ნატო გულბანმა , დასახლების საერთო კრებაზე დამსწრე პირებს შესთავაზა, რომ ივდით პირველი იყოს დასახლების საერთო კრების რჩეული, რადგან ივდითი ის ახალგაზრდაა, რომელიც სოფლის პრობლემების მოგვარებას ცდილობს და გარკვეულწილად სოფელში ბევრი რამ ივდითის თაოსნობით გაკეთდა.
- საკითხის შესახებ საერთო კრებაზე გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები, ქალბატონმა თეა თამლიანმა, კრებაზე დამსწრე პირებს უთხრა, რომ ივდით პირველი სოფლის

შვედრთა ერთი ჯგუფის მიერ დარეგისტრირებულია რჩეულის კანდიდატურად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში და როდესაც სოფელში განიხილებოდა თუ ვინ იქნებოდა დასახლების საერთო კრების რჩეული, ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ივლით პირველი საუკეთესო კანდიდატურა იყო.

საერთო კრებაზე დამსწრე პირებმა ერთხმად გამოთქვეს რჩეულის არჩევის კენჭისყრაში მონაწილეობის სურვილი.

- საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით:

მომხრე: 131 წევრი ;

მოწინააღმდეგ: 0 წევრი;

ხმის მიცემისგან თავი შეიკავა: 0 წევრმა.

- მიღებულია გადაწყვეტილება: ივლით პირველი არჩეული იქნა სოფელ უდაბნოს დასახლების საერთო კრების რჩეულად.

2. საკითხი: საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საკითხზე საინიციატივო ჯგუფის მოსაზრებების განხილვა;

- საკითხის ინიციატორი - ივლით პირველი, პ.ნ 36001041507, სოფელ უდაბნოს რეგისტრირებული ამომრჩეველი, დასახლების საერთო კრების რჩეული.

- საკითხის ინიციატორმა საერთო კრებას გააცნო შემდეგი მოსაზრებები: ვინაიდან სოფელი უდაბნო ტურისტულ მარშუტზე მდებარეობს და მოსახლეობაში არსებობს სოფლის ხელსაყრელი მდებარეობის გამოყენების სურვილი, აუცილებელია სისუფთავის დამყარება, რათა ტურისტული ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალება მიეცეთ ტურისტებს მიაწოდონ ხარისხიანი სერვისები შესაბამის გარემოში. სოფელში მოსახლეობას თვითონ უწევს საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაცია დაწვის გზით, რის შედეგადაც შედეგად ბინძურდება ნიადაგი და ჰაერი, რაც ეკოლოგიურ პრობლემებს იწვევს სოფელში. ცუდი ეკოლოგიურ-სანიტარული გარემო კი ვერაფრით გახდება მიმზიდველი ტურისტებისთვის.

- საკითხის შესახებ საერთო კრებაზე გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები: საინიციატივო ჯგუფის წევრმა ხვიჩა გვიდანმა კრებაზე დამსწრეებს გააცნო საინიციატივო ჯგუფის

მიერ მომზადებული ნარჩენების გატანის პროექტი. კრების მონაწილემ მამუკა გვარლიანმა კმაყოფილება გამოთქვა საკითხის საფუძვლიანად მომზადების გამო და აღნიშნა, რომ სოფელში ახლა შენდება სასტუმროები და კვების ობიექტები და საცივცხლოდ მნიშვნელოვანია სოფელში დაიდგას ბუნკერები და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა მოხდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ.

- საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით:

მომხრე: 131 წევრი ;

მოწინააღმდეგ: 0 წევრი;

ხმის მიცემისგან თავი შეიკავა: 0 წევრმა.

- მიღებულია გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას ნარჩენების გატანის წარმოდგენილი პროექტი და წარედგინოს იგი მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. საკითხი: მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის პეტციის წარდგენის საკითხის განხილვა;

- საკითხის ინიციატორი - ივლით პირველი, პ.ნ 36001041507, სოფელ უდანბოს რეგისტრირებული ამომრჩეველი, დასახლების საერთო კრების რჩეული.
- საკითხის ინიციატორმა საერთო კრებას გააცნო შემდეგი მოსაზრებები: აღნიშნული პროექტი რომ განხორციელდეს, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იყოს შესაბამისი თანხები. შესაბამისად, კრებამ საკითხის ინიცირებისთვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უნდა მიმართოს პეტციით. კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პეტციის წარდგენა საკრებულოში შეუძლია კრების რჩეულს ან კრების მიერ უფლებამოსილ სხვა პირს .
- საკითხის შესახებ საერთო კრებაზე გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები: საინიციატივო ჯგუფის წევრმა ივანე გულბანმა დააყენა წინადადება, რომ პეტციის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა დაევალოს კრების რჩეულს.
- საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით:
მომხრე: 131 წევრი ;
მოწინააღმდეგ: 0 წევრი;

ხმის მიცემისგან თავი შეიკავა: 0 წევრმა.

- მიღებულია გადაწყვეტილება: კრების რჩეულმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოამზადოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს პეტიცია სოფელ უდაბნოს საერთო კრების მიერ მოწონებული ნარჩენების გატანის პროექტის განხორციელების შესახებ.

ოქმს თან ერთვის:

- "სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის პროექტი" - 7 ფურცელი;
- კრებაზე დამსწრე პირთა ხელმოწერები - 14 ფურცელი;
- სულ - 21 ფურცელი.

კრების თავმჯდომარე ი. პირველი / ი. პირველი /

კრების მდივანი ბ. გვიდანი / ბ. გვიდანი /